№ 99

სამშაბათი, 9 მაისი, 1900 წ.

გაზეთის ფასი:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

187 —1900

# ივერია

№ 99

სამშაბათი, 9 მაისი, 1900 წ.

რედაქცია:

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

ფასი განცხადებისა:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 22

დღესასწაულისაგამო შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 11 მაისს.

თავადნი იოსებ, სოლომონ ქობულაშვილნი და კნეინა ელისაბედ ვახვახიშვილისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 11 ამა მაისს, დილის ათს საათზედ, შუამთის მონასტერში, თელავის მაზრაში, გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი მათის დედისა

კნეინა მარიამ დიმიტრის ასუ-ლის ქობულაშვილის

სულის მოსახსენებლად. (2—108—1)

# სახალხო სეირნობა საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" მიერ განზრახული სახალხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება 25 და 26 მაისს მუშტაიდის ბაღში, და თუ ვინიცობაა ამინდმა ხელი შეუშალა, იმ შემთხვევაში გადადებულ იქნება 28 და 29 მაისისათვის. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლღა თადეოზის ასულ ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

## პირველი კერძო სამკურ-ნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) ზ საშარდის ავადმყოფობანი.

ქ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს

ა. ნ. შჰაკოვსკი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. ნ. შჰაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 საათ.

ვ. მ. მახვილაძე—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ლ. ტ. არვანიტაკი—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს ზ იმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი—9—10 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

მ. ა. პოკროვსკი—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ა. ნ. მატილოვი—თვალისა 12—1 საათ.

მ. ლ. მარკევიჩი—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სადოსტაქრო.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

საღამოთი:

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—5—6 საათ.

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., კონსილიუმის და ოპერაციებისთვის —მორიგებით. კვირაობით 4 მ. ერთი კვირით ღარიბთათვის უფასოდ.

გუჯა, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ გედევანიშვილი

## მთავრობის განკარგულებანი

—

ებოძათ: ტიტულიარნი სოვეტნიკობა ქუთაისის ოლქის სასამართლოს მდივნის თანაშემწეს ხოშტარიას; გუბერნსკი სეკრეტრობა—ნაღალევის მომრიგებელ სასამართლოს მდივნის თანაშემწეს აბაშიძეს.

დანიშნულ იქმნენ: დაბა ართვინის მცხოვრები სულეიმან-მუხამედ-ალაოღლი ტაბახიძე ართვინის ოლქის სამმართველოს სიტყვიერ თარჯიმანის თანამდებობის აღმასრულებლად; ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის სამხედრო—საერო სამმართველოს განყოფილების რეგისტრატორად (იგივე არხივარიუსი) ნამყოფი კოლეჟსკი ასესორი გრიგოლია იმავე კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანაშემწედ; აქციზის მოხელე ტრიფონ ხორაძე სასმელების უმცროს კონტროლიორად მე-3 ოლქში.

## შემოწირულება

—

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ განზრახულ ბაზრობას შემოსწირეს.

გენერლის ბუწუაშვილის მეუღლემ მაკინე ნიკოლოზის ასულმა: 2 ბალიში, 1 პატარა ბალიში, ატლასის მოქარგული პარკი, 3 შანდალი, 6 ყუთი კამფეტი, 8 პრიანიკი სურათებით, 2 ტყავი, 6 ხელსახოცი, 2 წინ-ასაფარებელი, 1 ჩოტკი, 2 ნაჭერი ჩითი, 2 ფლაკონი, 1 საწერელი, 3 ტიკინი, 3 ჩინური ვაზა, 1 ფაიფურის საფერფლე და ორიც სხვა საფერფლე, 3 სხვა და სხვა ნაირი ყულაბა, 1 პრესპაპიე, 1 სანტიმეტრი, 3 ზაპინკა, 1 ნივთების საწყობი ტუფლი, 1 ჩინური საპუდრე, 1 ბეჭედი, 1 სასპიჩკე, 2 საყელო, 1 წყვილი საყურე, 1 წყვილი ჩულქი, 2 ნაჭერი აბრეშუმის მატერიისა, 1 ხელსახოცი და სხვა ნივთები.

აფთიაქართა საექონომო საზოგადოებამ—სამოცი სხვა და სხვა ნივთი.

ქ-ნმა ჩიხიბაიამ—მშვენივრად ნაკერი პორტფელი და ერთი ყუთი დუხი.

თავად დავით ალექსანდრეს ძე გურამიშვილმა—5 მანეთი.

# ახალი ამბავი

—

*** გუშინ, ორშაბათს, 8 მაისს, ტფილისის ოლქის სასამართლოს მესამე დეპარტამენტში გაირჩა ცნობილი საქმე ნასირბეგოვისა, რომელიც

# ფელეტონი

—

## ფანდურსა

—

ამაიძახე, ფანდურო,
სულ-გული ამიბოძირე;
ხან სიყვარულით დამათვრე,
ხან ცხარე ცრემლით მატირე!
აზრახდი! შენი ტკბილი ხმა
მინდა ჩემს გულში ჩქამობდეს;
ფიქრები უწვდომ მხარესა
გადასაფრენად ჩქარობდეს.
არ მგონავ შენზედ უამეს
ან ანგელოზი გალობდეს.

ბაჩანა

## წერილები ინგლისიდგან

(ჩვენის თანამშრომლისაგან)

პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაჭირვება

მოისყიდეს რა გაზეთები და აურიეს რა გზა-კვალი საზოგადოების აზრს, საერთაშორისო კაპიტალიზმის მძარცველებმა თავიანთ ამხანაგობის მონაწილედ გაჰხადეს ყველა ის, ვისაც-კი გავლენა ჰქონდა პოლიტიკასა, სარწმუნოებასა და საზოგადოებაში. განსაკუთრებულ უფლებებით დაჯილდოვებულ სამხრეთ აფრიკის საზოგადოების (South Afrucan Chartered Company) მსხვილ მექციებად ითვლება 40 უწარჩინებულესი ლორდი; მათ შორის დიუკი ფაიფი, დიუკი აბერკორნი, ჰერცოგინია მონტრაზი და სხვანი; 50 სერი, ლორდთა პალატის წევრი, სხვათა შორის, ჯონ ლიუბოკი, კანობირი და სხვანი. 62 პარლამენტის წევრი, ასე გასინჯეთ, რადიკალი ჩარლზ დილკიც-კი; უმაღლესს დაწესებულებათა მოხელენი, ელჩები და დიპლომატები; სხვა-და-სხვა ეკკლესიისა და სექტის მღვდლები. მაგრამ ეს ბატონ-ყმობის შეწევნით თავიანთ ჯიბის გამასქელებელნი მოხერხებულად იქცეოდნენ და იბირებდნენ მანდილოსნებს—პარლამენტის წევრებისა, გენერლებისა და აფიცრების ცოლებსა და ნათესავ ქალებს.

პარლამენტის 1896 წლის საბუთის ქაღალდებიდგანა სჩანს, რომ ამ მძარცველებმა, ასე თუ ისე, ცოლებითა, ნათესავების შეწევნით, ან კიდევ პირადის მონაწილეობით, თავიანთ ძარცვა გლეჯის საქმეში ჩაითრიეს 350 (სამას ორმოც-და-ათი!) გენერალი, პოლკოვნიკი და აფიცერი, ის გენერლები და აფიცრები, რომელნიც ეხლა ბრძოლის ველზედ ინგლისის ჯარს უფროსობენ.

დაუჯერებელ და რაღაც საზღაპრო ამბად მიგაჩნიათ ამ ვაჟბატონების გავლენა: კანონ-მდებლობა, პრესსა, ეკკლესია, საზოგადოება და ჯარი... ყველანი ჩაითრიეს, ყველა მიუსიეს გლეხთა პატარა რესპუბლიკას, რომლის მიწაშიაც მდიდარი ოქროს მადნები აღმოჩნდა. ჟურნალ-გაზეთები და ვითომ-და მეცნიერნი ცილსა სწამებდნენ ბოერებსა და იმათ რესპუბლიკას; კანონ-მდებლობა მხარს აძლევდა და შემწეობას უწევდა როდსსა, მილნერსა, ჩემბერლენსა და ამხანაგობას; მქადაგებელნი სწყევლიდნენ საწყალ ბოერებს; ხოლო, როდესაც საქმე ომამდე მიიყვანეს, აღმოჩნდა, რომ ყველას,—ბრძოლის ველზედ ხმლის გამტანთაც და სამშობლოს „თავ გამოდებულ დამცველთაც"—მხოლოდ და მხოლოდ თავისის თავის გამდიდრებისა და სხვათა გაძარცვა-გაღარიბების მადა ჰქონია.

წარმოიდგინე, მკითხველო, ეხლა გაკვირვება, სირცხვილის გრძნობა და უკმაყოფილება გონიერ და მოწინავე კაცთა, ყველა იმათი, ვისთვისაც ძვირფასია ანდერძნი სალიბერალო ინგლისისა, დაჩაგრულ ხალხთა იქ განმათავისუფლებელისა და მეგობრისა.

— „ჩვენის საჯელით დიდი ბოროტ მოქმედებანი ჩაიდინეს!—განაცხადა გაზეთმა „Star"-მა. შეგვარცხვინეს მთელის განათლებულის ქვეყნის წინაშე. ინგლისის სახელი, ის სახელი, რომელიც წინად გონიერებასა, ცოდნასა, პატიოსნებასა, თავისუფლებასა და თავისუფალ შრომას მოასწავებდა, გადააქციეს ბატონ-ყმურისა და მონურის შრომის საზიზღარ სახელად... გამოფხიზლების გზაზედ დამდგარი საზოგადოებრივი თვითცნობიერება ვერა ჰპოვებს სიტყვებს სირცხვილისა და მწუხარების გამოსაცხადებლად.

მართლაცა და ამ უკანასკნელ ნახევარ წელიწადს ველარ იცნობ ლონდონსა და იმის ზნე ჩვეულებებს. დავიწყებთ თუნდა იქიდგან, რომ გაზეთებისა და ჟურნალების ხასიათი სრულიად შეიცვალა. ჯერ კიდევ წარსულ ზაფხულს გაზეთები, როგორც მაგალითად, „Times"-ი, „Daily News"-ი, „Chronicle" და სხვანი, სავსე იყო ცნობებით მთელის დედამიწის ცხოვრების შესახებ და დიდის გაზეთების კორესპონდენტნი ჩვეულებრივ ისევ სწორ და მართალ ცნობებს იძლეოდნენ, რომ ამ ცნობებს ბევრნი უდარებდნენ და უფარდებდნენ ისტორიულ საბუთებს, რომელნიც ყოვლად სწორედ ითვლებოდა. ამბებს 1848 წლისას იტალიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისას, საფრანგეთ-პრუსიის ომისას, კომმუნისასა და სხვათა დღემდისაცკი დიდ ინგლისურ გაზეთებიდგან სწავლობენ. ეხლა-კი სულ სხვაა: გაშლი გაზეთსა და შიგ ვერაფერსა ჰხედავ. არ არის არც ცნობები ევროპის სახელმწიფოებიდგან და არც ისტორიულ ამბავთა კეთილ-სინდისიერი აღწერილობა. რეიტერის სააგენტო აღარც-კი გაირჩევა კანტინენტის უბრალო ფურცლებისაგან. სუყველაფერი იქ სამხრეთ აფრიკისა და ტრანსვაალის შესახებაა, და ყველაფერივე, ან ნახევარი მაინც მერე უარყოფილია ხოლმე.

ამავე დროს საზოგადოებაში, მიტინგებზედ და ქუჩებში ყველას და ყველაფერს ჰბატონობს მხედრობა, შოვინიზმი და იმპერიალიზმი. ბავშვებიც-კი ქუჩებში ხის ხმლებით შეიარაღებულნი, ჯარის-კაცებსავით დარაზმულნი დადიან, სულ ომობანასა თამაშობენ და გამვლელ-გამომვლელთ ფულსა სთხოვენ პატრიოტობისათვის... არა, ბატონებო, ეს ლონდონი არ არის, და იქ მყოფი ხალხი ჩვეულებრივი თავდაჭერილი ჰუმანიზმის მოყვარულნი ინგლისელნი არ არიან. ყველა ამის გამო გონიერი კაცები სასოწარკვეთილებას ეძლევიან. ერთის ასეთის კაცის აზრი მოვისმინე წარსულ კვირას.

ერთ საზოგადოებაში წაკითხულ იქმნა ლექცია მე-XIX საუკუნეში მეცნიე-

უჩიოდა ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკს 39,006 მან., ღირებულობას იმ გირავნობის ფურცლებისას, რომელიც ნასირბეგოვს გარდაეცა ბანკის დირექტორად ნამყოფ პ. ყიფიანისათვის საკომისიოდ. ოლქის სასამართლომ განაჩენის გამოცხადება გადასდო 22 მაისისათვის.

*** დღეს, 9 მაისს, საღამოს რვა საათზედ, მოხდება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება. სხვათა შორის ამ კრებაზედ ლაპარაკი იქმნება სასოფლო სამეურნეო სასტატისტიკო ცნობების შესაკრებ ბიუროს შესახებ. ამავე კრებაზედ განხილული იქმნება ტფილისის საბაღოსნო სკოლის ამა 1900 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობამ 4 მაისს შეატყობინა შუკერტისა და ამხ. ფირმის წარმომადგენელს ტფილისში, ბ-ნს ფონ-შმიტს, რომ ხუთი დღის განმავლობაში თუ 200,000 მან. ბე არ წარმოადგინა ხსენებულმა ფირმამ და ათი დღის განმავლობაში თავისი რწმუნებული არ გამოჰგზავნა ქალაქის ელექტრონით განათების შესახებ ხელშეკრულობის პროექტის შესამუშავებლად, გამგეობა ამას ისე ჩასთვლის, რომ შუკერტისა და ამხ. ფირმას აღარ სურს ამ საქმის აღებაო.

*** ტფილისის გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულოს 5 მაისს უკვე დაუმტკიცებია ტფილისის ქალაქის საბჭოს დადგენილება მთაწმინდის სერზე ფუნიკულერის გამართვის შესახებ.

*** სენატს განუმარტავს, რომ საეკკლესიო, სამონასტრო და აგრეთვე სასულიერო უწყების დაწესებულებათა უძრავი მამულები მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იყვეს განთავისუფლებული საერო გარდასახადისაგან, თუ არავითარი შემოსავალი არა აქვთო.

*** 7 მაისს ბაქოში კრება ჰქონიათ „ა. ი. მანთაშევის ნავთის-მწარმოებელ საზოგადოების“ აქციონერთ. როგორც ამ კრებაზედ წაკითხულ ანგარიშიდგან სჩანს, 1899 წლის 1 ივლისიდგან 31 დეკემბრამდე საზოგადოებას წმინდა მოგება 3,905,279 მანეთი 31 კაპეიკი ჰქონია. აქციის პატრონებს თითო აქციაში 15 მანეთი მიეცემათ.

*** საქართველოს საეპარქიო სასწავლებელთა, საბჭომ, ალავერდის ეპისკოპოსის ყოვლად-სამღვდელო კირიონისა და საეპარქიო სასწავლებელთა ზედამხედველის ნ. ტატიშვილის მოხსენების თანახმად, 29 წარსულ მარტს დაადგინა ქართულის ენის სახელმძღვანელოებად მიიღოს ქართულს სამრევლო-საეკკლესიო სკოლებში ი. ს. გოგებაშვილის წიგნები: „Русское Слово“ 1 და მე-2 ნაწილი (მე-VII გამოცემა 1 ნაწილისა და მე-V გამოცემა მე-2 ნაწილისა) და „Руководство къ преподованію по „Русскому Слову“, გამოცემა მე-2. ეს დადგენილება 22 აპრილს დაამტკიცა მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ საქართველოს ექსარხოსმა ფლაბიანემ.

*** როგორც რუსულ გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ ჯულფიდგან, მისის უდიდებულესობის სპარსეთის შაჰის დასახვედრად ჯულფაში მისულან გენერალ-ადიუტანტი არსენიევი, ერევნის გუბერნატორი გრაფი ტიზენგაუზენი, ფლიგელ-ადიუტანტი ქოვკოვიჩი, პოლკოვნიკი ბელგარდტი, ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი ლინდენი, იმისი თანაშემწე და სხვანი. 7 მაისს შაჰი ჯულფაში მისულა. იქიდგან მისი უდიდებულესობა აქსტაფაში წაბრძანებულა,

*** როგორც გაზ. „კავკაზს“ გაუგონია, მთავრობას განზრახული თურმე აქვს კავკასიაში კადეტთა მეორე კორპუსი დააარსოს.

*** როგორც გაზ. „ცნობის ფურცელი“ სწერს, გურია-სამეგრელოს ეპარქიის ეპისკოპოსს ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს შუამდგომლობა აღუძრავს კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭოს წინაშე, რომ საზოგადოების საფასით სკოლა აჭარაში იქმნას გახსნილი. საბჭო დიდის სიამოვნებით მიჰგებებია ყოვლად სამღვდელოს შუამდგომლობასა და გარდაუწყვეტია სკოლა გახსნას იქ, სადაც საზოგადოების სკოლების ინსპექტორი საჭიროდ დაინახავს. მომავალ სკოლის მასწავლებელს წლიური ჯამაგი 600 მანეთი ექმნება.

*** ქუთაისის რეალურ სასწავლებლის დირექტორი აცხადებს, რომ თავისუფალ ადგილების უქონლობისა გამო ამ წელს ვერც ერთს კლასში ვერ მივიღებთ მსურველთაო. აღნიშნულს სასწავლებელში წელს შემოდგომაზედ გახსნება მეხუთე კლასი.

*** გაზ. „ტფილ. ფურ.“-ის სიტყვით, ტფილისის საბაღოსნო სკოლის ერთს მოიჯარადრეს სასამართლოში უჩივლია კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისათვის, რომ 1898 წელს საბაღოსნო სკოლის მოსწავლეებს ფეხსაცმელები შევუკერე, რამაც 400 მან. შეადგინა და მიზღოს საზოგადოებამაო. საზოგადოების მხრივ არავინ დასწრებია საქმის გარჩევას. მომრიგებელ მოსამართლეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება დაუდგენია მომჩივანის სასარგებლოდ.

*** 10 მაისს, დილის 12 საათზე, მოხდება კავკასიის ექიმთა საეკონომიო საზოგადოების წევრთა და რწმუნებულთა საზოგადო კრება, რომელმაც უნდა განიხილოს და დაამტკიცოს 1899 წლის ანგარიში, განაწილოს მოგება და სხ.

*** კვირას, 7 მაისს, შუაბაზარში ერთს ჯარის-კაცს ი. გრიშჩენკოს ტფილისის მცხოვრებელმა ზაქარია ე. ბოჭუაშვილმა ამოაცალა ჯიბიდგან ლითონის საათი, ღირებული 5 მან. დამნაშავე უკვე შეიპყრეს და სამართალში მისცეს.

*** ხუთშაბათს, 4 მაისს, საღამოს 9 საათზედ, პოლიციის მე-6 ნაწილში, მღებრების ქუჩაზე ტფილისის მოქალაქემ ივანე კანდაროვმა სიმთვრალის დროს დაიკრა დანა მუცელში და მძიმედ დაიჭრა. და ჩავებული ტფილისის მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

*** ხუთშაბათს, 4 მაისს, ავლაბარში, მაისურაძის სახლებში საღამოს 5 საათზედ ტფილისის მოქალაქის ვ. ი. საფაროვის ერთის წლისა და ნახევრის ქალი ბარბარე მშობლების გაუფრთხილებლობით ჩავარდა ფეხის ალაგის ორმოში და გარდაიცვალა.

## ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მორიგი კრება

3 მაისს, ათს საათზედ, თეატრის დარბაზში ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი ბ-ნი გერშელმანი მობრძანდა და აქ შეკრებილს თავად-აზნაურობას წაუკითხა წინადადება კრების დაწყების შესახებ. ამასთანავე წაკითხულ იქმნა კრებაში მონაწილეობის უფლების მქონეთა სია, რის შემდეგ კრებაზედ დამსწრენი თეატრიდგან საკრებულო ტაძარში წავიდნენ ფიცის მისაღებად. ფიცის შემდეგ თეატრშივე დაბრუნდნენ და მორიგ საქმეების განხილვას შეუდგა.

პირველად გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა, კამერგერმა თ. ს. გ. წერეთელმა მოკლე და გრძნობიერის სიტყვით მიულოცა საქართველოს თავად-აზნაურთ იმერეთის თავად-აზნაურობასთან შეერთება... ამ გვარივე მილოცვით მიჰმართა სიტყვა თავად-აზნაურთ ქუთაისის მაზრის წინამძღოლმა თ. დ. ო. ნიჟარაძემ, რომელმაც თვისი სიტყვა იმ წინადადებით დაასრულა, რომ კრებას მოესმინა რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ პირველის რესკრიპტი ქუთაისის თავად-აზნაურობის მიმართ 1852 წ. ბოძებული, ამ თავად-აზნაურობის პირველი კრების შესახებ. რესკრიპტში, სხვათა შორის,მოხსენებულია, რომ ქუთაისის გუბერნიის ქველი თავად-აზნაურობა, როგორც ჰქონდათ მაშინდელი მთავარ-მართებელი, სხვა-და-სხვა სათავად-აზნაურო თანამდებობის აღმასრულებელთა არჩევნების დროს, ხელმძღვანელობდა რა საზოგადო სარგებლობის მისწრაფებით, ჰქონდათ ერთპირად, ღირსეულად და კეთილ-შობილურად, რისთვისაც მოწყალე ხელმწიფე განსაკუთრებულის სიამოვნებით უცხადებს თავად-აზნაურობას თავისს ხელმწიფურს მადლობასაო. კრებამ რესკრიპტი ფეხზედ დგომით და სასოებით მოისმინა.

## ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემათა 38 ნომერი, სახელდობ: „იავნანამ რა ჰქმნა?“ მოთხრობა იაკობ სიმონის ძის გოგებაშვილისა, მესამედ გამოცემული. წიგნზედ აწერია: საკუთრება „წერა-კითხვის“ საზოგადოებისა, რადგანაც ეს წიგნი ერთი იმ წიგნთაგანია, რომელიც ხსენებულმა ავტორმა ამას წინად საკუთრებად გადასცა საზოგადოებას. როგორც წიგნზევეა აღნიშნული, იგი სამჯერ გამოუციათ, სულ-კი 7200 ცალი დაბეჭდილა. პირველი ორი გამოცემა ღირდა ორშაურად, ეს უკანასკნელი კი შაურადა ღირს. ასე გაიაფება წიგნისა საზოგადოებას მოუხერხებია იმის გამო, რომ ცხრა კლიშე ამ მოთხრობის სურათების ავტორს უფასოდ დაუთმია „წერაკითხვის საზოგადოებისათვის“.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 მაისი

**პეტერბურგი.** გაუქმებულია თანამდებობა ჟანდარმთა შეფის თანაშემწისა და არსდება ახალი თანამდებობა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგისა.

**ლორენცო-მარკეზი.** ამბობენ, პრეტორიაში განზრახვა აქვთ—სატახტო ქალაქი დასტოვონო; სატახტო ქალაქად ჰსურთ ლიდენბურგი გამოაცხადონ და იქიდგან ეწინააღმდეგონ ინგლისელებს. ეს წინადადება ფოლკსრადის მიერ იქმნა მიღებული. ბევრი მოხელე გასახიზნელად ემზადება. სტეტს სეკრეტარი

---

რების წარმატების შესახებ. ლექტორმა,მოკლედ გადაავლო რა თვალი დიად აღმოჩენათა და გამოკვლევათ, აღნიშნა,რა გავლენა ჰქონდა ამ აღმოჩენებსა და გამოკვლევებს ხალხთა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებებზედ. „მთელის ევროპის ხალხები უფრო მეტად გაერთიანდნენ და დაუახლოვდნენ ერთმანეთს, ვიდრე წარსულ საუკუნეში ინგლისის სხვა-და-სხვა პროვინციის მცხოვრებნი იყვნენ გაერთიანებულ-დაახლოვებულნი. შესდგა საზოგადოებრივი აზრი კულტურულ კაცობრიობისა და ამის გამო დიპლომატთა და პოლიტიკოსთ ვერავითარი ხრიკები დიდხანს წინააღმდეგობას ვერ გაუწევს განათლებულ კაცობრიობის საუკეთესო, განსაკუთრებულ გრძნობებს. ვისკენაც მისი თანაგრძნობაა—ის გაიმარჯვებს კიდეც; ვინც გაკიცხულია ამ თვით-ცნობიერებით, იმას ისტორია სამარცხვინო სახელით აღნიშნავს. ყველას გვახსოვს სამი საშინელი, რომლის დროსაც გაერთიანებულ კაცობრიობის საზოგადოებრივმა აზრის ძალამ გადასწყვიტა ეს საქმე: ევროპის თანაგრძნობამ შექმნა მაძინისა და ჰარიბალდის სარევოლუციო იტალიის კავშირები; ამავე თანაგრძნობამ გაამხნევა ლინკოლნი და იმის თანამოღვაწენი; მანვე ჩვენ თვალ-წინ მხარი დაუჭირა ზოლასა, კლემანსოსა და დრეიფუსის ერთ მუჭა დამცველთ. ლექტორის სიტყვებს აღტაცებით ისმენდნენ და ტაშის ცემით აჯილდოვებდნენ. განსაკუთრებით საზოგადოებამ ტაშის-ცემა ასტეხა ზოლასა და კლემანსოს სახელების ხსენების დროს —„აი, ეხლაც კაცობრიობის თანაგრძნობა გაერთიანდა, განაგრძო ლექტორმა: კაცობრიობა მემარცხენე დამღას ასვამს, და ვშიშობ, რომ ეს დამღა ჩამოურეცხავი დარჩება... და გული მეწვის და მცხვენიან მე, ინგლისელს: კაცობრიობის თანაგრძნობა ბოერებისაკენაა... შემარცხვენელი დამღა—ჩვენ და ჩვენს მთამოებასაო“, დაამთავრა ლექტორმა.

დარბაზში საოცარი სიჩუმე იყო. ჩუმადვე დაიშალა საზოგადოება. ყველას სახეზედ უკმაყოფილება და სირცხვილი ეტყობოდა. მაგრამ კვალიც-კი არსად იყო იმ თავ-გასულობისა და თვით-ხებიზისა, რომელმაც დღევანდლამდე ესოდენ იჩინა თავი, და იქამდე მივიდა, რომ სიტყვას აწყვეტინებდნენ ორატორს და ხან სულ აჩუმებდნენ კიდეც. ვამბობთ, ასეთი ამ ლექციის დროს არაფერი მომხდარა. დამოუკიდებელ, უშიშარ და პატიოსან კაცების ხმამ ბოლოს მაინც თავისი გაიტანა და ჩააჩუმა ქუჩის პატრიოტიზმის წრეს-გასული მოქმედება. რასაკვირველია, მშვიდობიანობისა და თავისუფლების მეგობართ ჯერ არ გაუმარჯვნიათ, მაგრამ სიცრუის გამოქვეყნებამ და მოსყიდვისა და იმ ძალ-მომრეობის გამოაშკარავებამ, რომელიც პატრიოტიზმის სახელით ჩაიდინეს და რომლის შესახებაც გაკვრით ვწერდი წარსულ წერილებში, ყველა ამან ბევრი დააფიქრა და ალაგმა წრეს გადასული მყვირალნი.

ამ თავ-გასულ ვეშაპის სრული დამარცხება, რასაკვირველია, ჯერ კიდევ შორს არის. შორს არის ეს იმიტომ, რომ საზოგადოებას დიდხანს, ძალიან დიდხანს უბნიეს გზა-კვალი. პატიოსან კაცთა უმრავლესობასაც-კი სჯეროდა გადასხვაფერებული და სიცრუით შეზავებული ამბები წიგნებისა, ჟურნალებისა და გაზეთებისა. გზა-კვალი აუბნიეს არა მარტო ინგლისელებს, არამედ მრავალ უცხო-ქვეყნელსაც. ეგევე შევნიშნე „კვალის“ პატივცემულ თანამშრომლის წერილებსაც [1]). ინგლისურ და ნემეცურ წყაროებით ვსარგებლობო, სწერს ავტორი. სჩანს კიდეც, რომ ასეა. მაგრამ საქმე ის არის, რა წყაროებია ეს წყაროები? იქნება ეს ნაწარმოებია როდსისა, ეკშტეინისა და ბეიტის მიერ მოსყიდულ კაცებისა? და ამით ხომ არ აიხსნება ავტორის ასეთი სიძულვილი ბოერების მიმართ და თანაგრძნობა ჩემბერლენისა და მძარცველთა მიმართ? ამის გამოვე ხომ არ იმეორებს იგი ზღაპარს, რომ ბოერები ინგლისის ქვეშევრდომნი არიანო? ან იქნება ტრანსვაალი აღორძინდა, განათლებულ ქვეყნად გარდაიქცა ორის წლის განმავლობაში (1878—1880 წ.) დიზრაელის კონსერვატიულ მართვა-გამგეობის წყალობით? „კვალის“ წერილების დამწერი, როგორც მრავალი პატიოსანი და გონიერი ინგლისელი, ხალხის გაძარცვისა და ბატონ-ყმურის შრომის დამცველთა ნაწარმოებებს რომ არ შეეცდინათ, ადვილად მოისაზრებდა, რომ ორის წლის განმავლობაში შეუძლებელია შექმნა ცივილიზაციისა, კულტურისა და ხალხის კეთილ-დღეობისა, განსაკუთრებით ლორდის კარნარვონის, ბარტლ-ფრერის ადმინისტრაციისა და დიზრაელის სამინისტროს დროს, იმ დიზრაელისა, რომლის შესახებაც პატიოსანი და დამოუკიდებელი ისტორიკოსი სამხრეთ-აფრიკისა სწერს: „ლორდ ბიკონსფილდის (დიზრაელის) ადმინისტრაცია ყელში სწვდა ნატალსა და კაპის ახალშენს. ამ ადმინისტრაციამ განიზრახა ის შემოეღო იქ, რაც ბიუროკრატიას ლონდონში ჰსურდა [2])“.

რაკი ზემოხსენებულ ავტორის შესახებ ჩამოვაგდე ლაპარაკი, მკითხველსა ვთხოვ, ნება მომცეს გავასწორო პატარა ისტორიული შეცდომა. „კვალი“-ს მე-214 გვერდზედ (№ 14)ავტორი ამბობს, რომ ომის წინააღმდეგ პროტესტის გამოცხადების „პირველი მაგალითი გვიჩვენა გერმანიის მუშათა პარტიამ ფრანგ-გერმანელთა ომის დროს, 1870—71 წ. წ.“. ჯერ ერთი გერმანელმა მუშებმა მხოლოდ თანხმობა განაცხადეს პარიჟის მუშათა მოწოდებაზედ; მეორე, ყირიმის ომის დროს მთელმა რადიკალურმა ინგლისმა, ჯონ ბრაიტისა,დოქტორის სპენს ვატსონისა[3])და სხვათა მეთაურობით სასტიკი აგიტაცია გამართა რუსეთთან ომის წინააღდეგ. დიდებულის ორატორის და იმის მეგობართა ქადაგება ვერ შეაჩერა ვერც დაცინვამ, ვერც მუქარამ და ვერც იმის წინააღმდეგ ამხედრებამ; მესამე კიდევ, განა ინგლისელნი არ იყვნენ ედმონდ ბერკი, ტომას პენი, დოქტორი პრაისი, შარიდანი და სხვანი, რომელ-

[1]) „ბურები“. „კვალი“, №№ 10, 12, 14, 1900 წლისა.

[2]) The Zite and Times of J. Ch. Molteno, first Premice of Cape Colony“—ცხოვრება და დრო, ჯ. ჩ. მოლტენოსი, კაპის ახალშენის სამინისტროს პირველის პრეზიდენტისა.

[3]) დღეს პრეზიდენტია საერო სალიბერალო ფედერაციისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეისი სამხრეთ ამერიკაში აპირებს ცხოვრებას.

**პეკინი.** უცხოელთა მიმართ მტრული მოძრაობა ბოქსერებისა თან-დათან ძლიერდება და საშიში ხდება. პაკტინგუფსა და პეკინის შუა ჩინელები თავს დასხმიან ქრისტიანეთ და საშინლად უწვალებიათ ისინი; ქონებრივი ზარალიც დიდი მიუციათ; მოუკლავთ სულ 73 ქრისტიანი, მათ შორის ქალები და ბავშვებიც; ბევრი ცოცხლად დაუწვავთ. კათოლიკეთა მისსიონერები ამბობენ, რომ ასეთი საშინელი დევნა ქრისტიანებისა დიდი ხანია აღარ ყოფილა ჩინეთშიო. რადგანაც მთავრობა გულგრილად უყურებს ქრისტიანთა დევნას, მოძრაობა დღითი დღე ძლიერდება.

**კიმბერლეი.** დოქტორი ჯემსონი დებარის მადნების გამგეთ დაინიშნა.

**კრონშტადტი.** ბურებმა ხიდი ააფეთქეს მდინარე რენოსტორზე. პრეტორიაში მშვიდობიანობის მომხრე პარტია სდგება. კრონშტადტისა და მის მიდამოების მცხოვრებნი ამბობენ, რომ ტრანსვაალელნი ან სრულიად არ გაუწევენ წინააღმდეგობას ინგლისელთ, ან ძლიერ სუსტსაო.

**დანგაუზერი.** (ნატალშია) ბურები, რომელნიც ნიუკესტლთან ჩრდილოეთით სდგანან, ამაიუბის მთებისაკენ მიდიან.

**ტანჟერი.** გასულ კვირას გარდაიცვალა პირველი ვეზირი.

**ნიუ-იორკი.** კოლონის დეპეშა იუწყება, რომ კოლუმბის მთავრობის ჯარებმა 70 საათის ბრძოლის შემდეგ აჯანყებულნი დაამარცხესო. ჯარებმა ბევრი დაჰკარგეს; მოკლულია ორი გენერალი; 1200 მეამბოხე ტყვედ არის წაყვანილი; მეამბოხეთ წაართვეს ბევრი ზარბაზანი და თოფი.

**რომი.** პარლამენტის დათხოვნის დეკრეტს მეფემ ხელი მოაწერა. ახალი პალატა 6 ივნისს იქმნება მოწვეული.

**ხარკოვი.** სამხრეთ-სუსეთის სამთო მრეწველთა კრება გაიხსნა.

**კონსტანტინეპოლი.** ავსტრო-უნგრეთის სამხედრო აგენტი ტრაპიზონს მოვიდა და გაემგზავრა არზრუმს.

**ოდესსა.** დაიწყო დღესასწაული ეკატერინე II ძეგლის კურთხევისა გამო. ტაძრებში იქმნა გარდახდილი პანაშვიდი დიდის იმპერატრიცას სულის მოსახსენებლად.

**პეტერბურგი.** 5 მაისს იმ სახლთან, სადაც გარდაიცვალა 100 წლის წინად გენერალისსიმუსი სუვოროვი, გარდახდილ იქმნა პანაშვიდი; პანაშვიდს დაესწრნენ მისნი შთამომავალნი და მრავალი წარჩინებული სამხედრო პირი. ალექსანდრეს ნევლის ლავრაში, სადაც სუვოროვი ასაფლავია, პანაშვიდი გარდაიხადა მიტროპოლიტმა ანტონიმ; დაესწრნენ დიდი მთავრები: პავლე ალექსანდრეს ძე, დიმიტრი კონსტანტინეს ძე, დიმიტრი პავლეს ძე და ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე. პანაშვიდების გარდახდის შესახებ იუწყებიან: მოსკოვიდგან, ოდესსიდგან, როსტოვიდგან, ბათუმიდგან, კრონშტადტიდგან, ნოვგოროდიდგან, ყაზანიდგან და ვილნოდგან.

6 მაისი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა, გამოჩენილის სარდლის დიად სახელის საუკუნო სახსოვრადა და მოსაგონებლად გარდაცვალებიდგან ასის წლის შესრულების დღეს, ბრძანა: სუზდალის ქვეითა ჯარს დღეიდგან ეწოდებოდეს გენერალისიმუსის იტალიის თავადის გრაფის სუვოროვის რაზმი. სუვოროვისავე სახელი დაერქვას დონის ყაზახთა რომელსამე რაზმს, ვარშავის ციხის ფორტს ვარს ეწოდებოდეს „ფორტი სუვოროვისა“. ვარშავის კადეტთა კორპუსს ეწოდებოდეს „სუვოროვის კადეტთა კორპუსი“ და ამ კორპუსში სუვოროვის სახელობაზე აფიცერთა შვილებისთვის 10 სტიპენდია იქმნას დანიშნული.

გამოიცა უმაღლესი რესკრიპტი პრინცის ალექსანდრე პეტრეს ძის ოლდენბურგის სახელობაზე, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „დიდათ ვნანობთ, რომ იძულებული ვართ ვისმინოთ თხოვნა თქვენის უმაღლესობისა და გაგანთავისუფლოთ შავ ჭირთან საბრძოლველად დაარსებულ კომისიის თავმჯდომარეობისაგან, მაგრამ დარწმუნებულნი ვართ, რომ თუ გარემოება მოითხოვს, მოწოდებისათანავე თქვენ კვალადაც არ დაიშურებთ თქვენს შრომასა და გამოცდილებას, რომ ქვეყანას შეღავათი მისცეთ. ჩემის თქვენდამი გულითადის მადლობის ნიშნად მიიღეთ პირველი ხარისხის ორდენი წმ. მოციქულთა სწორის ვლადიმირისა“.

უმაღლესის განკარგულებით ფინანსთა მინისტრს ებრძანა ხაზინის თავისუფალ თანხიდგან სახელმწიფო ბანკს 50,000,000 მან. ვალი მიეცეს ქაღალდის ფულისა. ამასთანავე გამოთქმულია სურვილია, რომ ქაღალდის ფულის გამოცემა შემდეგში თანახმად 1897 წლის 8 აგვისტოს ბრძანებისა სწარმოებდეს. უმაღლესი რესკრიპტები ებოძათ: მიტროპოლიტს ანტონს და მასთან ერთად ბრილიანტის ჯვარი მიტრაზედ სატარებლად, ვლადიმირის არქიეპისკოპოსს სერგის ბრილიანტისავე ჯვარი ბარტყულაზედ სატარებლად. უმაღლესი გრამოტები: ფლაბიანეს, ექსარხოსს საქართველოსას, იუვენალს არქიეპისკოპოსს ლიტოვისას, ილარიონს პოლტავის ეპისკოპოსს, უწმ. სინოდში მყოფს ეპისკოპოსს გურის, სამხედრო და საზღვაო სამღვდელოების პროტოპრესვიტერს ალექსანდრე ჟელებოვსკის, — ყველა ამათ ებოძათ აგრეთვე ორდენი ალექსანდრე ნევლისა. ფლიგელ-ადიუტანტი, მე-2 რინგის კაპიტანი, დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე დაინიშნა საზღვაო გემის „როსტისლავი“-ს უფროსად. ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორი გენ.-ადიუტ. ბობრიკოვი სახელმწიფოს საბჭოს წევრად იქმნა დანიშნული და იმავე თანამდებობაში დატოვებული.

**ოდესსა.** აქ ჩამოვიდა ბოლგარიის დეპუტაცია იმპერატრიცა ეკატერინე მე-II ძეგლის კურთხევაზე დასასწრებლად.

**კრონშტადტი.** მეტუენი გოპსტადტში შევიდა. გენ. დიუპრემ და დანიელსმა, მათთან კიდევ 40 კაცმა იარაღი დაჰყარეს. ცხენოსანმა რაზმმა ბროდვუდის უფროსობით დაიჭირა ლინდლეი. მტერმა სუსტი წინააღმდეგობა გაუწია. შტეინი იქ არ იყო. სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეებმა დასტოვეს ქალაქი. გეტონის ამხედრებული ქვეითა ჯარი წამოეწია ჯარის უფროსს ბოტას, ფელდ-კორნეტს გასსენს და იოჰანესბურგის პოლიციის მოხელეს და 17 ბურს კრონშტადტთან 30 მილის მანძილზე ჩრდილოეთ-დასავლეთით და ყველანი ტყვედ წაიყვანა. ჩვენ არავითარი ზარალი არ მოგვსვლია. ბულლერი იუწყება, რომ რამდენიმე ნატალელმა ფერმერმა იარაღი დაჰყარაო.

**ლონდონი.** პალატა. სამხედრო მინისტრს თავისუფალ მეომართა შესახებ პროექტი შეაქვს და განსამარტებლად უმატებს, რომ შეიძლება გაჭირვების დროს თავისუფალი მეომარნი მოვიწვიოთ ხოლმე სამსახურშიო. ეხლანდელ კანონების ძალითკი თავისუფალი მეომარნი მოიწვევიან იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფოს მტერი უქადის შემოსევას ან უკვე შემოჰსევია. სასურველიაო, თავისუფალი მეომარნი მაშინაც მოვიწვიოთ ხოლმე, როდესაც, საერთაშორისო განწყობილება ირღვევა რითმე, თუ გინდ ინგლისს არ ეშინოდეს მტრის შემოსევისა. პროექტში ნათქვამია, რომ თავისუფალი მეომრები ხელწერილით უნდა შეეკრან ხოლმე სამხედრო უწყებას, რომ ისინი მზად არიან იომონ სახელმწიფოს ტერიტორიაზედაც და მის გარეთაც. ამ პროექტით საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ როცა საჭირო იქმნება სახელმწიფოს შეეძლოს დაუყოვნებლივ გაგზავნოს ბრძოლის ველზე საჭირო რიცხვი მეომართა. პროექტი მიღებულ იქმნა.

**ვენა.** მინისტრ-პრეზიდენტმა იმპერატორისაგან ნებართვა მიიღო პარლამენტი დაითხოვოს, თუ ობსტრუქცია ნებას არ მისცემს დროებით ბიუჯეტი განხილულ იქმნას. მთავრობა იმის მერე გარდასწყვეტს, რამდენ ხანს შეუძლიან ისარგებლოს პალატის დათხოვნის უფლებით. აღმასრულებელ კომიტეტის დღევანდელს კრებაზე იავორსკიმა და კატრეინმა ობსტრუქციის წინააღმდეგ ილაპარაკეს და განაცხადეს, რომ თუ ობსტრუქცია არ დაეცა, მაშინ მემარჯვენეთა დასი დაეცემაო.

**ამსტერდამი.** ჰოლანდიის უნივერსიტეტის პროფესორებმა შეერთებულ შტატების სწავლულთ ძიჰმართეს, რომ ბურების მისსიას შემწეობა აღმოუჩინონ.

**ფალქსრუსტი.** აქ ხელ-ახლად მშვიდობიანობა ჩამოვარდა. ყველა რაზმებს თავისი პოზიციები უჭირავთ. ინგლისელები არა სჩანან.

**პრეტორია.** ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ბურებმა მეფკინგს ალყა შემოჰხსნეს. სამხრეთიდგან მოსულმა ინგლისის ჯარმა ქალაქი დაიჭირა.

**ლონდონი.** ქალაქის საბჭოს შენობის კედელზედ გაკრულია განცხადება მეფკინგის განთავისუფლების შესახებ. ესევე შეატყობინა მინისტრმა პარლამენტს, დედოფალსა და პრინცს უელსისას. ინგლისელების საერთო სიხარულს საზღვარი არა აქვს.

**ლონდონი.** ოფიციალურად. ბულლერმა ნიუ-კესტლი დაიჭირა.

---

თაც ანაფემის ღირსად სცნეს გეორგ მე-III-ის მინისტრები ჩრდილოეთ ამერიკის ახალშენებთან (დღეს შეერთებული შტატები) ომისათვის? და განა ესენი მეგობრობას, სიყვარულს და თავიანთ გაკვირვებას არ უცხადებდნენ ვაშინგტონს, ჯ. ადამსსა და დამოუკიდებლობისათვის სხვათა მებრძოლთ?.. რასაკვირველია, სახელი და პატივი ნემცებს კეთილშობილურ მოქმედებისათვის, მაგრამ ამ საქმეში ისინი არც უპირველესი იყვნენ, არც უკანასკნელნი და არც უკეთესნი...

ერთი უკანასკნელი შენიშვნაც. იმავე წერილიდგანა სჩანს, და ეს ჭეშმარიტებაა, რომ ამ საუკუნის დასაწყისში ბოერებს მონები ჰყვანდათ, და რომ ისინი ზანგებს სასტიკად ექცეოდნენ. ეს თავის და თავად გულის ამღვრეველი ამბავი და აგრეთვე იმისი აღნიშვნა, რომ მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში ბოერები კულტურული ხალხი არ იყოო, თითქოს ამართლებს, ავტორის აზრით, ტრანსვაალის საქმეში ჩემბერლენისა, მილნერისა, როდსისა და საერთაშორისო კაპიტალიზმის მძარცველთა ჩარევას. აღმაშფოთებელი უმეცრება, უფლების-მოკლებულობა და მონობა! ყოველი პატიოსანი კაცი ვალდებულია ებრძოლოს ამას. ეს ასე უნდა იყოს. ჰუმანიზმი ამას მოითხოვს.

მაგრამ განა ამ საუკუნის პირველ ნახევარში მარტო ბოერებსა ჰყავდათ მონები? განა შეერთებულ შტატებში 1861 წლამდე არა ჰყაოდა მონობა? ნუ თუ ამისათვის ინგლისს იმათს საქმეში ჩარევისა და შეერთებულ შტატების დაპყრობის უფლება ეძლეოდა? ანდა ნუ თუ კანონიერად უნდა ჩავთვალოთ მექსიკის ექსპედიცია ნაპოლეონ III-ისა? ხოლო გმირული თავ-დაცვა ხუარესისა და მექსიკანელთა ავაზაკობის ბარბაროსულ საქმედ? ბრაზილიაშიაც ხომ მონობა მხოლოდ მე 80 წლებში იქმნა მოსპობილი? ნუ თუ ამიტომ უნდა თანავუგრძნოთ მძარცველთა მიერ ამ სახელმწიფოს დაპყრობას? პროგრესი და ჰუმანიზმი არასოდეს არა თხოულობს უცხო-ქვეყნელთა ცეცხლითა და მახვილით შესევას. ეროვნული ცხოვრება, ეროვნული დამოუკიდებლობა ყველა კულტურულ კაცისთვის წმიდათა წმიდად უნდა ითვლებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა შევიწყნაროთ მტაცებლობის უცნაური პოლიტიკა. ავსტრია, მაგალითად, კულტურით მაღლა სდგას ბალკანიის სამთავროებზედ. და განა ამიტომ სასურველია ავსტრიის მიერ სერბიისა, ბოლგარიისა და ჩერნოგორიის დაპყრობა? რასაკვირველია, არა! მაშ რამ უნდა გაამართლოს ძალ-მომრეობანი და მტაცებლობანი როდსისა, ბარნატოსი, ჩემბერლენისა?... ნუ თუ კიმბერლეიში ბატონყმურ შრომის შემოღებამ, სადაც ზანგები მაგრად ჩაკეტილ ყაზარმებში სხედან, სადაც იმათ ისე ექცევიან, როგორც კატორგაში გაგზავნილთ? ნუ თუ ძარცვა-გლეჯის მონოპოლია ის ცივილიზაციაა, რისთვისაც უნდა თანავუგრძნოთ კიჩინერს, დაჭრილთა უმოწყალოდ მხოცველს, როდსა, ბეიტსა, ეკშტეინსა და სხვათა, ბატონ-ყმობის ხელახლა შემომღებთ, ჩემბერლენსა და მილნერს, რომელნიც მიწასთან ასწორებენ ეროვნებას და დამოუკიდებელ ახალშენებს თვით-მმართველობას უსპობენ?!.

არა, ბატონებო, იმათ მხარეს არ არის კაცობრიობის თანაგრძნობა, არ არის იმათ მხარეს არც პროგრესისა და ცივილიზაციის ინგლისი, — ინგლისი ოვენისა და მორრისისა, მილლისა და სპენსერისა, დარვინისა და ვოლლისის დროისა ჰკიცხავს ამ ვაჟბატონებს, იმათ პოლიტიკას და იმათსავე საზოგადოებრივ იდეალს. და ვაი იმ საზოგადოებას, სადაც ამ გვარი კაცები და მათი იდეალები იმარჯვებენ!

აიღეთ მაგალითად თუნდა იგივე ინგლისი, იმ დროის ინგლისი, როდესაც ჰყავოდა იქ ჩემბერლენისა, როდსისა და მილნერის მიერ ასე ძლიერ ყვარებული საზოგადოებრივი იდეალი. ეს იმ დროს იყო, როდესაც ბოერებს შორის მონობა არსებობდა, ხოლო ინგლისში გაცხარებული აგიტაცია იყო დაჩაგრულთა სასარგებლოდ. როგორი იყო იმ დროს თვით ინგლისში მუშათა შრომის პირობანი? ერთმა უკეთილშობილესმა კაცმა ინგლისისამ, პარლამენტის წევრმა, შესანიშნავმა სადლერმა (Sadler. ამისი სახელი ეწოდება დღეს მუშათა შრომის პირობისა და მდგომარეობის გამოსაკვლევად შემდგარ კომისიას), თავისის პროექტის დაცვის დროს, შემდეგი სასტიკი ბრალი დასდო პარლამენტს, მთავრობასა და უმაღლესს წოდებათ „ჩვენს ქარხნებსა და ფაბრიკებში არა ჩვეულებრივი ამბები ხდება, სასტიკად სცემენ და აწვალებენ ორსავე სქესის ბავშვებს, განსაკუთრებით ამისათვის გაკეთებულ მათრახებით... დიაღ, ჩვენის სამშობლოს დედაკაცთ თქვენს თავისუფალ შრომის ბაზარში ისე სასტიკად ექცევიან, როგორც მონას. ამ უბედურებს მათრახებითა სცემენ თავიანთსავე ამხანაგ ქალების თვალ წინ... გეუბნებით, ჩვენ ქალებს ისე სცემენ და აწვალებენ, როგორც ძაღლებს! წყევა-კრულვით ვიხსენიებთ წკეპლის გამეფებას ინდოეთში... დღესაც ასევე მოვექცეთ და ზიზღით გამოვუცხადოთ წკეპლის გაბატონება ჩვენსავე, ინგლისისავე, ქარხნებში“...

უდიდესი ისტორიკოსი კარლეილი უფრო მეტის სიძულილითა და უკმაყოფილებით სწერდა იმავე დროის შესახებ, იმ დროს შესახებ, როდესაც როდსის, ჩემბერლენისა და სხვათა ამგვართა იდეალი იყო გამეფებული.

„ჩვენს დიდს ქალაქებში ისეთი წყვდიადია გაბატონებული, ისეთი სიღარიბე, დამცირება და სისაძაგლეა იქ, რომლის მაგვარსაც სხვა ბარბაროსულ და ველურებით დასახლებულ ქვეყანაში მზის სხივი არ მიჰკარებიაო“.

ასე სწერდა უკმაყოფილო ისტორიკოსი. მაგრამ ჩვენს დროს სამხრეთ აფრიკის მზემ აშკარა ჰყო ამაზედ უფრო საზიზღარი რამ: მონური შრომა როდსისა, დებირისა და ამხანაგობის მადნებში. თავისი სხივი მზემ იმ ბრძოლის ველსაც გადაავლო, სადაც ერთი მუჭა ფერმერები გმირულად იცავენ სამშობლოს კაპიტალიზმის ძიერ დაქირავებულთა შესევისა და დამონავებისაგან.

არც ერთს განათლებულ კაცს არ შეუძლიან საყვედური გამოუცხადოს იმ ბედისაგან დაჩაგრულთ, რომელნიც გმირულად იღუპებიან უთანასწორო ბრძოლაში.

გ. მარველი

**ბერლინი.** „ჩრდილოეთ გერმანიის გაზეთი“ იუწყება: რუსეთის იმპერატორის დაბადების დღესასწაულის გამო, იმპერატორის ვილჰელმის მიწვევით, რამდენიმე წევრი რუსეთის საელჩოსი ვისბადენში წავიდა. საელჩოს დანარჩენი წევრები მოწვეულ არიან გვარდიის გრენადერთა იმპერატორის ალექსანდრე მესამის პოლკთან ერთად იდღესასწაულონ ეს დღე. პოტსდამში იდღესასწაულებს მე-8 გუსართა რაზმი. შაბათს რუსეთის საელჩოში სადღესასწაულო პარაკლისი იქმნება გარდახდილი.

**მოსკოვი.** ყველა ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა პარაკლისი ხელმწიფე იმპერატორის დღეგრძელობისათვის.

**დონის როსტოვი.** „პრიაზოვსკი კრაის“ რედაქციაში ყოველდღე ახალგაზრდა კაცები შედიან და აცხადებენ ტრანსვაალში თავისუფალ მეომრად წასვლის სურვილს. თავისუფალ მეომართა რიცხვი 300 კაცს აღემატება.

**მასსერუ.** რენდლის დივიზია და საახალშენო ჯარი კლოკოლანთან არიან დაბანაკებულნი. როგორც ისმის ბიფლეემისაკენ მიმავალი ბურების დიდი რაზმები ხელ-ახლა დაბრუნდნენ რენდლისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. ბურებს აზრადა აქვთ ფიკსბურგსა და ბიფლეემისაკენ დაიწიონ. ეს ადგილები მნელად მისადგომია და ჩასასაფრებლადაც მოხერხებულია.

**ვაშინგტონი.** ბურების მისსია გუშინ აქ მოვიდა. მისსიას ალტაცებით მიეგებნენ. სადგურზედ განსაკუთრებული კომიტეტი უცდიდა. კომიტეტმა მისსია სასტუმრომდე მიაცილა, სადაც მათ კონგრესის წევრი მიეგება.

**ბერლინი.** ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღეს რუსეთის საელჩოს ეკკლესიაში წირვა იქმნა გარდახდილი. წირვას ბევრი ხალხი დაესწრო.

**ლონდონი.** პრეტორიიდგან იუწყებიან, რომ აქ აღმასრულებელ საბჭოს კრება ჰქონდათ. ამბობენ, რომ მთავრობას არა აქვს აზრად დააქციოს მადნები. იუწყებიან აგრეთვე, რომ ბურებმა დააქციეს რკინის გზის ტონნელი ლენგოხეკთასთან.

**ვენა.** ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღეს რუსეთის საელჩოს ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა.

**ლორენცო-მარკეზე.** რადგანაც ეშინიანთ დელაგოადგან პრეტორიაში მიმავალ რკინის გზაზედ მატარებლების მიმოსვლა არ შეაჩერონ, ბურების აგენტები სურსათსა ყიდულობენ და ტრანსვაალში მიაქვთ. პრეტორიიდგან იუწყებიან, რომ როგორც სარწმუნო წყაროებიდგანა სჩანს, ორსავე რესპუბლიკის მთავრობას ახალი სამშვიდობო წინადადებანი გარდაუცია ინგლისისათვის. ამბობენ, რომ ომი მალე გათავდებაო.

**ლორენცო-მარკეზე.** როგორც იუწყებიან, უცხო-ქვეყნების ელჩები პრეტორიიდგან ლიდენბურგში მიდიან.

**პარიჟი.** დელკასსემ არაფერი იცოდა გაზეთების მიერ გავრცელებულ ამბისა, ვითომ გერმანიის კრონპრინცი პარიჟში აპირობდეს მოსვლას.

**პარიჟი.** ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღეს გარდახდილ იქმნა პანაშვიდი რუსეთის საელჩოს ეკკლესიაში. დაესწრნენ: დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე, დიდი მთავრინა ელენა ვლადიმირის ასული, ჰერცოგი, გიორგი მაქსიმილიანის ძე ლეიხტენბერგისა, რუსეთის ელჩი, მინისტრი დელკასსე, მწერლობა, პრეზიდენტის წარმომადგენელნი, მინისტრები და სხვანი.

**პეტერბურგი.** 6 მაისს ქალაქში ზეიმი იყო მორთული. სახელმწიფო დაწესებულებებსა და სასწავლებლებში წირვა იქმნა გარდახდილი. ისაკიის ტაძარში წირვა მიტროპოლიტმა ანტონიმ გარდაიხადა. საღამოზედ ქალაქი გაჩირაღდნებული იყო.

ცარსკოე სელოში, სასახლის ეკკლესიაში, მათის უდიდებულესობის და უმაღლესობის თანდასწრებით, წირვა იქმნა გარდახდილი.

**ტანჟერი.** მაროკკოს სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარზედ მცხოვრებ ტომებს შორის სასტიკი ომს ქადაგებენ. ამ ტომების მეომარნი ტაფილეტში იყრიან თავს. ზოგნი ამბობენ, რომ ამ მეომართ სურთ იმოქმედონ იგლიში მყოფ საფრანგეთის რაზმების წინააღმდეგაო, ზოგნი კიდევ — ეს მოძრაობა გამოწვეულია სულთანის მტრების მიერ, რომელთაც სურთ ისარგებლონ დიდის ვეზირის სიკვდილით, რათა გადააყენონ სულთანი და ტახტზედ აიყვანონ იმისი ძმა მულეი-მაჰომეტაო. ალჟირის ჯართა უფროსს ბრძანება მიუვიდა ყოველგვარი ზომები მიიღოს ალჟირის სამხრეთ-დასავლეთ საზღვრის დასაცველად.

**ლონდონი.** ბულლერი ოფიციალურად იუწყება, რომ ნიუკესტლი დაიჭირეს. 7000 კაციდგან, რომელთაც უკან დაიწიეს ინგლისის ჯარის მიახლოვებისას, 1000-მდე კაცი უთუოდ ვაკერსტრომში წავიდა; ზოგი კიდევ ორანჟის რესპუბლიკაში. დანარჩენნი ლენგონეკისაკენ წავიდნენ, სადაც განუზრახავთ წინააღმდეგობა გაუწიონ ინგლისის ჯარს.

**ნიუ-იორკი.** ბურების მომხრე კომიტეტი, რომელიც სენატისა და პალატის წევრებისაგან შესდგება, აქ მოვიდა. კომიტეტი ბურების მისსიას დახვდა; შემდეგ კომიტეტი და მისსია ერთად ვაშინგტონში წავიდნენ.

7 მაისს

**პეტერბურგი.** ჯავშნიანი გემი „გენერალ-ადმირალი აპრაქსინი“ კრონშტადს მოვიდა.

**წმ. ელენეს კუნძული.** გუშინ გადმოსხეს 500 ტყვე ბური.

**კაირო.** რაც ალექსანდრიაში შავი ჭირი გაჩნდა, ავად გამხდარა 5, გარდაცვლილა 4, პორტსაიდში — ავად გამხდარა 20, გარდაცვლილა 13, ეგვიპტეს სხვა ადგილებში ამ ავადმყოფობისა არაფერი ისმის.

**ვისბადენი.** შუადღისას იმპერატორთან სადილი გაიმართა რუსეთის იმპერატორის დაბადების დღის წლისთავის გამო. სადილს დაესწრნენ: მეფის ოჯახის წევრნი, რუსეთის დესპანი თვისის მდივნებით, ფრანკფურტის ელჩი რუსეთისა და სხვანი. სადილის დროს იმპერატორის მარჯვნივ ბრძანდებოდა დიდი ჰერცოგი საქსონიისა, მარცხნივ — რუსეთის ელჩი. იმპერატორმა მიირთვა სადღეგრძელო რუსეთის იმპერატორისა.

**ბუდაპეშტი.** უნგრეთის დელეგაციის კომისია გარეშე საქმეთა შესახებ. განსახილველია გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტი.

საქმის მომხსენებელი ფალკი ამბობს, მოხარული ვიქნებოდი, რომ გამართლდეს ხმები ავსტრო-უნგრეთისა და იტალიის შორის საგანგებო შეთანხმების შესახებ ალბანიის გამო, ვინაიდგან ეს დამატება იქმნებოდა რუსეთთან შეთანხმებისა და ამასთანავე თანამდებობაც იმისი, რომ აღმოსავლეთში status quo დაცული იქმნება. აპპონი ამბობს, ერთგული მომხრე ვარ ავსტრო-რუსეთის შეთანხმების გულ წრფელის სიფრთხილისა; ამ შეთანხმებამ დაჰბადა სათავე მეგობრულისა და გულ-მხურვალე ურთიერთობისა ორსავე დიდ სახელმწიფოთა შორის. ორატორი დიდად ნასიამოვნებია, რომ იმპერატორმა და გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადეს ამ დამოკიდებულებათა დაურღვეველი განგრძობა. ორატორს არა სჯერა, რომ რუსეთსა და ბულგარიას შორის შეთანხმება იყოს, მაგრამ მაინც სთხოვს მინისტრს გამოსთქვას ამ საქმის შესახებ თვისი აზრი საზოგადოების დასამშვიდებლად. გოლუხოვსკი უპასუხებს, ავსტრო-უნგრეთსა და იტალიას შორის არ არსებობს დიპლომატიური შეთანხმება ალბანიის შესახებ, ხოლო ყველა დიდნი სახელმწიფონი თანხმანი არიან, რომ ბალკანის ნახევარ კუნძულის ვერც ერთს ადგილას ვერ შეიცვლება status quo დაინტერესებულ დიდ სახელმწიფოთა დაუკითხავად. ამ ცოტა ხნის წინად ბულგარიაში მომხდარი ამბები მეტად გაზვიადებულია. ბულგარიის მთავრობამ არა ერთხელ სთხოვა რუსეთს გამოგვიგზავნეთ გამოცდილი ფინანსისტი ბულგარიის ფინანსების გამოსარკვევადაო; ამ ამბავმა გამოიწვია ხმები ბულგარიის სესხების კონვერსიისა და ახალ სესხის შესახებ. ამ მხრივ არსებობს მხოლოდ კრების მიერ მეწუნარებული ხელ შეკრულობა ბულგარიასა და უცხოელ ბანკებ შორის. რუსეთის მთავრობას სახეში აქვს მხოლოდ ბულგარიის თხოვნის ასრულება: იგი სრულებით არა ჰფიქრობს არავითარ სავაჭრო ოპერაციებზე. ბულგარიის სამხედრო მინისტრის წასვლას პეტერბურგში საგნადა ჰქონდა უმთავრესად შესწავლა სამხედრო დაწესებულებათა. ბულგარიის აფიცერთა წასვლა რუსეთის ჯარში გასაწვრთნელად არაფრით არის საკვირველი, რადგანაც იგივე არის ხოლმე გერმანიისა, ავსტრო-უნგრეთისა და საფრანგეთის ჯარში. ალბანიაში სწორედ ახლა გაცილებით უფრო მშვიდობიანობაა, ვიდრე უწინ იყო და შიშიანობისათვის სრულებით არავითარი საბუთი არა სჩანს. რაც შეეხება გააგის კონფერენციას, ყველა ღონის ძიებაა მიღებული რაც შეიძლება მალე განხორციელდეს საქმე სამედიატორო სასამართლოს დაარსებისა. აპპონის კითხვაზე მინისტრმა უპასუხა, მე ვიცოდი ამბავი ბულგარიაში გამოგზავნილ ყველა მისსიებისა, რუსეთის მთავრობა სრულიად პატიოსნად და გახსნილად იქცევა. ბიუჯეტი შეწყნარებულ იქმნა. გოლუხოვსკის ერთხმად გამოუცხადეს ხდობა და მადლობა წარმოთქმულ პოლიტიკისათვის.

**ბაქო.** დაიწყო მეთოთხმეტე კრება ბაქოელ ნავთის მწარმოებელთა.

**ოდესსა.** დღეს, დიდის ამბით გარდახდილ პარაკლისის შემდეგ, რომელიც გარდიხადა მთავარ-ეპისკოპოსმა იუსტინემ მთელის ქალაქის სამღვდელოებით, აკურთხეს ძეგლი იმპერატრიცის ეკატერინე მეორისა. ძეგლს ფარდა რომ მოხსნეს, გაისმა ხმა მრავალჟამიერისა „ურა“ და ზარბაზნები დასცალეს. საერო საგალობელი რამდენჯერმე იქმნა განმეორებული. დღესასწაულს დაესწრო შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი თავადი ობოლენსკი. ძეგლის კურთხევაზე მოსულ სასტუმრო სტუმართა შორის იყვნენ: გენერალი ე. ვ. ბოგდანოვიჩი, ხერსონის გუბერნატორი, ხერსონის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი, საერობო გამგეობათა თავმჯდომარენი და მრავალი დეპუტაცია გვირგვინებით.

**კაპშტადტი.** ინგლისის ჯარს მეფეკინგში შესვლის დროს წინააღმდეგობა არავინ გაუწია, რადგანაც ჯარის მისვლამდე ალყა ახსნილი იყო.

ბეჩუანიდგან ამბავი მოვიდა იმ ჯარის შესახებ, რომელიც მიდიოდა მეფეკინგის განსათავისუფლებლად. ჯარი შეუმჩნევად გავიდა კიმბერლეიდგან, განვლო ტონგსისა და ფრეიბურგის ოლქები ისე, რომ ბურები არ შეხვედრია, 28 აპრილს ეს ჯარი მივიდა მდინარე მარიცონისთან მეფეკინგისაგან სამხრეთისაკენ 20 მილის მანძილზე. პირველად ამ ჯარში იყო 1500 კაცი და სამი ზარბაზანი მაქსიმისა.

**ვენა.** გაზეთი „Politische Korrespondent“-ი უარ-ჰყოფს იმ ამბავს, ვითომ ბულგარიის ჯარს უნდა დაურიგდეს რუსეთის ჯარში შემოღებულ სახის თოფები.

—

1-ლ მაისს მომხდარ სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის 5 % გირავნობის მოგებიან ფურცლების მე-21 ტირაჟში ხუთას-ხუთასი მანეთი შემდეგს ბილეთებს შეხვდა:

| № № ბილ. | № № სერიისა. |
|---|---|
| 1 | 105, 1992, 5152, 7576, 10414, 14136, 15901. |
| 2 | 242, 1709, 2419, 7516, 7890, 9101, 9209, 10488, 11045, 12486, 13753. |
| 3 | 187, 718, 1246, 3114, 6518. 10516, 11554. 13312. 13577, 15536. |
| 4 | 3229, 9395. |
| 5 | 1338, 3489, 8316, 10320, 12957, 14667. |
| 6 | 103, 1723, 2251, 3274, 4190, 7061, 8770, 11797. |
| 7 | 5297. |
| 8 | 47, 743, 963, 3610, 11948, 12883, 15502. |
| 9 | 2085, 6165, 9393, 15530, 15969. |
| 10 | 373, 1337, 1479, 4943, 6659, 9677. |
| 11 | 2390, 2426, 3544. |
| 12 | 3820, 5424, 6548, 11472, 14109, 14577. |
| 13 | 1968, 4833, 7260, 10310, 12624. |
| 14 | 1322, 12879, 14510, 14646. |
| 15 | 96, 9866, 13563. |
| 16 | 2729, 10105, 11241, 13359, 15858. |
| 17 | 2945, 5563, 13211, 14023. |
| 18 | 714, 2235, 2525, 2692, 9939, 10699, 15886. |
| 19 | 1865, 1933, 2460, 6102, 8200, 8264, 9267, 11288, 12911, 13228. |
| 20 | 5308, 5343, 6402. |
| 21 | 10041, 11132, 13262, 14261. |
| 22 | 4998, 7418. |
| 23 | 6522, 8596, 11370, 12878, 13413. |
| 24 | 1016, 2838, 3433, 3732, 8945, 11008. |
| 25 | 2032, 7589, 9683, 11819, 14207. |
| 26 | 2187, 2154, 4526, 6063, 15319. |
| 27 | 241, 6555, 7994, 15774. |
| 28 | 3129, 3268, 6124, 6891, 13953, 15916, 15992. |
| 29 | 2723, 4050. |
| 30 | 323, 4415, 5448, 12141, 13891, 14850. |
| 31 | 955, 4237, 4580. |
| 32 | 2009, 2776. 4363, 6781, 9501, 10416, 11376. |
| 33 | 4343, 5311, 6125, 8170, 8381, 8904, 11568, 14293, 15337. |
| 34 | 380, 4338, 4902, 6112, 7106, 11631, 14965. |
| 35 | 238, 5429, 7897. |
| 36 | 1289, 6332, 7518, 8643, 8835, 9746. |
| 37 | 635, 2378, 7225, 13096. |
| 38 | 282, 4114, 6279, 8728, 12483, 14382, 15068. |
| 39 | 2536, 3369, 6081, 8114, 8340, 1142, 1264. |
| 40 | 2081, 5477, 8555, 10652, 13382. |
| 41 | 8041, 8429, 15043, 15678. |
| 42 | 2383, 4603, 11215, 14138. |
| 43 | 1740, 3467, 5467, 7288, 9490, 9715, 10567, 11308, 13234. |
| 44 | 13002. |
| 46 | 5193, 7925, 15536. |
| 47 | 1854, 2331, 3869, 5580, 11880, 13142, 15237. |
| 48 | 1117, 1464, 3092, 9349. |
| 49 | 169, 9199, 9267, 9260, 11282, 13117. |
| 50 | 2077, 7125, 9827, 13009, 14605. |

მოგების მიღება მხოლოდ პეტერბურგში შეიძლება სახელმწიფო ბანკში 1900 წლის 1-ლ აგვისტოდგან.

ცხრილი 5% სერიის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის მოგებიან ბილეთებისა, რომლებიც 1900 წ. 1-ლ მაისს მომხდარ ტირაჟით გაუქმებულ იქმნენ.

11299, 13382, 12561, 4583, 12361, 4997, 3583, 11996, 7297, 7614, 15972, 1139, 9128, 2954, 14028, 10068, 1084, 2557, 15177, 6690, 5990, 7331, 10283, 3160, 2661, 10568, 9582, 7460, 14605, 2118, 14527, 3151, 8445, 1224, 6985, 6207, 10251, 971, 2985, 8113, 8699, 11965, 8059, 3615, 8893, 5417, 8359, 5968, 9710, 14753, 6886, 12054, 334, 1580, 1067, 4312, 2332, 6335, 15880, 4151, 6025, 2642, 8190, 13872, 3207, 1442, 10588, 5069, 8371, 11421, 13104, 15036, 11284, 15215, 6361, 12062, 384, 1502, 14746, 5424, 2468, 10866, 3559, 14, 6384, 2747, 9123, 5613, 12231, 9048, 1137, 14249, 10009, 1279, 6133, 13074, 2106, 15820, 4213, 1278, 6990, 7120, 2637, 10917, 4692, 3829, 14470, 12191, 9370, 12562, 11086, 8090, 6341, 6281, 9130, 15860, 5225, 9097, 3227, 5803, 15102, 8718, 11688, 1868, 11539, 15894, 2521, 6564, 14353, 5310, 7326, 9880, 14403, 13229, 12424, 7804.

ტირაჟში გამოსულ ბილეთების ფასი, 125 მან. თითოეულში, შეიძლება მიიღონ 1900 წ. 1-ლ აგვისტოდგან სახელმწიფო ბანკის ყველა განტოფებსა და განყოფილებაში.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8-го Мая 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე